

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროგრამის სახელწოდება:** გერმანული ფილოლოგია / German Philology

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფილოლოგიის ბაკალავრი / BA in Philology

**სპეციალობა:** გერმანული ფილოლოგია/ Philology German Philology

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო **240 ECTS** კრედიტი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამით ნაწილდება შემდეგნაირად:

- **50 ECTS კრედიტი** ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო კურსებს.

- **120 ECTS კრედიტი** განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის (საბაკალავრო პროგრამისათვის).

- **60 ECTS კრედიტის** ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი სპეციალობის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ, ისე სხვა ფაკულტეტებზე.

დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს, მაგრამ დამატებითი სპეციალობა ძირითად სპეციალობასთან კომბინაციით, აღრმავებს სტუდენტის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს; და /ან აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს გარკვეული საბაზისო ცოდნა, რომელიც მას, ძირითად სპეციალობასთან ერთად, შრომის ბაზარზე ან განათლების შემდგომი საფეხურისათვის გამოსადეგ დარგობრივ კომპეტენციებს ჩამოუყალიბებს.

დამატებითი პროგრამის არ არჩევს შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია 60 კრედიტი გამოიყენოს მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით მისთვის სასურველი საბაკალავრო სასწავლო კურსის შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა და მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე). დამატებითი პროგრამის არ არჩევს შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია აგრეთვე გაიღრმავოს უცხო ენის დონე (კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა 40 ECTS კრედიტი);

- **10 ECTS** კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა).

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ძირითადი პროგრამის 170 ECTS კრედიტის (50 +120) შესრულება.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამით სასპეციალიზაციო **120 ECTS** კრედიტი განაწილებულია სასწავლო და კვლევით კომპონენტს, ანუ საბაკალავრო ნაშრომს, შორის შემდეგნაირად:

სასწავლო კომპონენტს ეთმობა **110 ECTS** კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომს) - **10 ECTS** კრედიტი.

სასწავლო კომპონენტის **110 ECTS** კრედიტიდან:

- **20 ESTC** კრედიტი გაკუთვნილია ზოგადფილოლოგიური კომპეტენციებისთვის აუცილებელი კურსებისთვის,
- **70 ECTS** კრედიტი ეთმობა ძირითად მაპროფილებელ დისციპლინებს;
- **20 ECTS** კრედიტი - სპეციალობის არჩევით დისციპლინებს.

**სწავლების ენა:** ქართული (სემინარები ან სასემინარო მასალები გერმანულ ენაზე. რამდენიმე კურსი ტარდება მთლიანად გერმანულ ენაზე)

#### **პროგრამის მიზანი:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა კომპლექსურად შეასწავლის გერმანულ ენას (რეფერენციული ჩარჩოს 6 დონეზე) და ლიტერატურას (ლიტერატურულ ტექსტებს დაწყებული ძველი პერიოდიდან უახლესი პერიოდის ჩათვლით). ასევე გერმანულ საენათმეცნიერო, თეორიულ დისციპლინებს თანმდევი პრაქტიკული სემინარებით უმეტესწილად გერმანულ ენაზე: გერმანული ენის გრამატიკის საფუძვლებს, გერმანული ენის ისტორიას, ლექსიკოლოგიას, სტილისტიკასა და ტექსტის ლინგვისტიკას ისევე როგორც ლიტერატურათმცოდნეობის დისციპლინებს: დაწყებული შესავალი კურსით გერმანულ მედიევისტკაში და ლიტერატურათმცოდნეობის ძველი და ახალი პერიოდებით და დამთავრებული უახლესი ლიტერატურის ისტორიით. პროგრამის მიზანია, გერმანული ფილოლოგიის დარგში ფართო და ზოგადი ცოდნის ფონზე, მოამზადოს გერმანისტი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას.

ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა ემყარება და აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს, სადაც, დღიდან დაარსებისა, ფილოლოგია ზოგადად და კერძოდ, გერმანული ფილოლოგია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იყო. ის, რომ გერმანიასთან ტრადიციულად არსებობდა ისტორიული

ურთიერთობა და გარკვეულწილად გერმანოფილიაც კი (დაწყებული საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკით და დამთავრებული თანამედროვე ურთიერთობებით; თუნდაც გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახურის მოღვაწეობას და აქტიურ მხარდაჭერას თუ გავითვალისწინებთ ქართველ მეცნიერთათვის ყველა დარგში) ბუნებრივად ითხოვს ჩვენი ქვეყნისგან გერმანულ ენასთან და გერმანიასთან მის კულტურასთან დაკავშირებულ სათანადო პრობლემატიკისა და ცოდნის ფლობას, რომელიც გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს – ქართული გერმანიისტიკის ფუძემდებლებს (ირაკლი ტატიშვილი, ოთარ ჯინორია, ნოდარ კაკაბაძე, რეზო ყარალაშვილი) კარგად ჰქონდათ გააზრებული.

მოცემული საბაკალავრო პროგრამა იცნობს და ითვალისწინებს ზოგადად სწავლებისა და კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და გამოცდილებას გერმანული ფილოლოგიის დარგში, რადგან გერმანული ენა არის ერთერთი მნიშვნელოვანი გზა ევროპული ინტეგრაციისკენ, რომლისკენაც სწრაფვა სხვა ფაქტორებს შორის აგრეთვე განპირობებულია გერმანიისა და გერმანულენოვანი ქვეყნების პოტენციალით და როლით საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და ბაკალავრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. პროგრამის ზოგადფილოლოგიური პროფილის საბაკალავრო პროგრამას **სპეციალობით გერმანული ფილოლოგია** კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ გერმანული ფილოლოგიის, არამედ ფართო ჰუმანიტარული და აგრეთვე სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.

პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ-ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. ფილოლოგია როგორც კომპლექსური დარგი და **გერმანული ფილოლოგია** როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, იმ მიმართულებებს

განეკუთვნება, რომლებშიც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს უკავია წამყვანი პოზიცია საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის.

ამრიგად, საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს დარგობრივი (ზოგადფილოლოგიური) და კონკრეტული (*გერმანული ფილოლოგიის*) საბაზისო კომპეტენციების გამომუშავებას და განვითარებას; ის უქმნის სტუდენტს გერმანული ფილოლოგიის დარგის, ერთი მხრივ, პრაქტიკაზე და, მეორე მხრივ, მეცნიერებაზე ორიენტირებულ საფუძვლებს, რაც გულისხმობს როგორც დარგის მეთოდოლოგიურ კომპეტენციებს ასევე პრაქტიკულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რათა მოხდეს მისი მიზანმიმართული მომზადება სწავლის გაგრძელებისთვის შემდგომ (სამაგისტრო) დონეზე და/ან დასაქმების სხვადასხვა სფეროებისთვის საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე პირობებში.

პირველი საფეხურის სასწავლო საბაკალავრო პროგრამა *გერმანულ ფილოლოგიაში* გარდა პრაქტიკული და თეორიული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევებისა, სწავლების პროცესში მიზნობრივად ახდენს ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში კურსდამთავრებულისთვის სწავლის გაგრძელებას შემდგომ სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე და/ან დასაქმებას პრაქტიკაზე ორიენტირებულ დასაქმების სფეროებში და მის წარმატებულ ინტეგრაციას სამოქალაქო საზოგადოებაში.

სწავლების პროცესში სავალდებულო საკვანძო კვალიფიკაციათა შეძენა გულისხმობს სტუდენტის კომპეტენციის ზრდას  $A^{1/2}$ -დან  $B-B^{2+}$  დონემდე გერმანული ენის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების პროცესში ენობრივი ქმედების ოთხი კომპეტენციის შესაბამისად: ზეპირი მეტყველება, წერა, აუდირება და კითხვა. შესაბამისად, ენის პრაქტიკული კურსი ასევე აღრმავებს ინტერკულტურული ცოდნის კომპეტენციებს.

წინამდებარე საბაკალავრო პროგრამა აერთიანებს გერმანული ფილოლოგიის შემადგენელი ქვედარგების: გერმანული ენათმეცნიერებისა და გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის დისციპლინებს და თავიდანვე ითვალისწინებს მეცნიერულ მეთოდებზე დამყარებული კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც საფუძველს ქმნის სწავლის შემდგომ გაგრძელებასა და კვლევის დაწყებისთვის სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე.

პირველი საფეხურის სწავლების ფარგლებში კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება გულისხმობს: შესასწავლი საკითხის მართებულად დასმას, პრობლემატიკასთან დაკავშირებული ფაქტების კრიტიკულ შეფასებას და ცოდნაზე დამყარებული დასკვნების გამოტანას, კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას, სწავლის უნარს და გარკვეული ღირებულებების შეძენას.

#### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის *გერმანული ფილოლოგიის* საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი, ერთიანი

ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე **გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად.

**სწავლის შედეგი:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამით მომზადებული ბაკალავრი ერუდირებული სპეციალისტია, მიღებული აქვს ფილოლოგიური დარგის შესაბამისი ფართო და ზოგადი განათლება სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში; ასევე მას შეუძლია დარგობრივ მონაცემთა ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა. ბაკალავრს აქვს კარგი პრაქტიკული მომზადება, გააჩნია დარგობრივი კომპეტენციები და შეუძლია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ასევე მას შეძენილი აქვს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისთვის. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით:

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

		სასწავლო დისციპლინები:
1.1	ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები.	<b>ფილოსოფიის შესავალი</b> (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.2	საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში.	<b>საქართველოს ისტორია</b> (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.3	აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები.	<b>აკადემიური წერა</b> (საფაკულტეტო

		სავალდებულო)
<b>1.4</b>	რომელიმე სხვა (არამაპროფილებელი) სპეციალობის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები (არჩევით).	<b>საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი</b>
<b>1.5</b>	ძირითადი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი ცნებითი აპარატი, დეფინიციები, ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და სემანტიკის ამოსავალი დებულებები; ლიტერატურული მიმდინარეობები, ჟანრები და ტროპის სახეები. ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი ძირითადი კვლევის მეთოდები.	<b>ენათმეცნიერების შესავალი</b> (საფაკულტეტო სავალდებულო); <b>ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი</b> (საფაკულტეტო არჩევითი შესავლის კურსი)
<b>1.6</b>	ინგლისური ენა საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე; არჩევის შემთხვევაში სხვა ევროპული ენა მინიმუმ B1 დონეზე.	<b>ინგლისური ენა</b> (საფაკულტეტო სავალდებულო); <b>რომელიმე სხვა ევროპული ენა</b> (საფაკულტეტო ევროპული ენა; არჩევით)
<b>1.7</b>	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის საბაზისო კურსი (არჩევით)	<b>ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენა</b> (არჩევით)
<b>1.8</b>	ლიტერატურის თეორიის საფუძვლები; ერთ–ერთი ევროპული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპების, ჟანრების, მნიშვნელოვანი ავტორებისა და მათი ნაწარმოებების კონცეპტუალური და სტილისტური მახასიათებლების ცოდნა.	<b>ლიტერატურის თეორია</b> (ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი); <b>მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კურსი</b> (არჩევით)

<p><b>1.9</b></p>	<p>ფილოლოგიის როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; გერმანისტიკის წარმოშობის ფილოლოგიური წანამდღვრების, გერმანული ლინგვისტური აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიის განვითარების ტენდენციებისა და ეტაპების ცოდნა. გერმანული ენათმეცნიერების, გერმანული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის ძირითადი ცნებების ცოდნა, ტექსტის კვლევის აუცილებელი, საბაზისო ინსტრუმენტარიუმის ფლობა.</p>	<p><b>გერმანული ფილოლოგიის შესავალი</b> (საფაკულტეტო არჩევითი);</p>
<p><b>1.10</b></p>	<p>გერმანული ენის ბგერითი/ფონეტიკურ ფონოლოგიური ინვენტარის, მორფოლოგიურ – სინტაქსური სტრუქტურების, ენის სისტემის ისტორიული ცვალებადობის, ლექსიკური ფონდის სემანტიკური თავისებურებების, ტექსტის კვლევის ლინგვისტური და სტილისტიკური მეთოდების, ენათმეცნიერული კომპარატივისტიკის საფუძვლების ცოდნა.</p>	<p><b>გერმანული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6</b> (ძირითადი);</p> <p><b>ენათმეცნიერების შესავალი</b> (საფაკულტეტო სავალდებულო);</p> <p><b>ლინგვისტური კომპარატივისტიკა</b> (ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი)</p>
<p><b>1.11</b></p>	<p>სპეციალობის მაპროფილებელ გერმანულ ენაში ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი დოკუმენტის “The Common European Framework in its political and educational context” მიხედვით B2+ დონის შესაბამისი ცოდნის ფლობა (დამოუკიდებელი მოსაუბრე დარგობრივ სფეროში), რაც გულისხმობს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) ამ დონის შესაბამისად; ცალკეული ენობრივი ასპექტების დაუფლებას (ლექსიკა, გრამატიკა, წერა, ზეპირი კომუნიკაცია);</p> <p>გერმანული ენის მორფოლოგიური და სინტაქსური წყობის თავისებურების ცოდნა;</p>	<p><b>გერმანული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6</b> (საბაზისო სავალდებულო );</p> <p><b>აუდიო–ვიზუალური მედიების თეორია და პრაქტიკა</b> (არჩევითი)</p> <p><b>გერმანული ენის გრამატიკის საფუძვლები</b> (სავალდებულო)</p>

<p>კანონზომიერებათა განხილვა ენობრივ უნივერსალებთან მიმართებაში;ენის პერიფერიული მოვლენების (გამონაკლისები, გადახრა-ანომალიების) ცოდნა; მორფოლოგიურ თეორიული ანალიზის ცოდნა.</p> <p>ენის დიაქრონიული განვითარების ცოდნა, <b>სხვადასხვა პერიოდის გერმანულ ტექსტებზე</b> ენათმეცნიერული ანალიზის მეთოდების გამოყენების, ტექსტზე მუშაობისა და მათი გაგების უნარი;</p> <p>ანალიზის შედეგების მიხედვით ენის განვითარების პროცესში წარმოქმნილ ცვლილებებზე და შესაბამისად ენობრივ ცვალებადობის ცოდნა, ენის განვითარების როგორც წარსული, ისე თანამედროვე ტენდენციების თანმიმდევრულად გააზრებისა და შეფასების, მსჯელობის უნარი.</p> <p><b>გერმანული ენის ლექსიკური მარაგის, სემანტიკური თავისებურებების ცოდნა;</b> ლექსიკური ფონდის, სემანტიკური მახასიათებლების ზოგადი ცოდნა. ლექსიკოგრაფიის ძირითადი პრინციპების და ლექსიკონების ტიპების ცოდნა და გამოყენების უნარი.</p> <p>ლექსიკურ ერთეულთა კლასიფიკაცია-სისტემატიზაციის თეორიული წანამდღვრები და დაჯგუფების წესები, მახასიათებელთა სემანტიკის, პროტოტიპების თეორიებისა და სხვ. ასევე მათი ქვეჯგუფებად კლასიფიკაციების პრინციპების, ლექსიკურ ერთეულთა შორის მნიშვნელობის მიმართებათა ცოდნა; ლექსიკურ ერთეულთა მენტალური ლექსიკონის აღწერა, ლექსიკოგრაფიის პრინციპების, კომპოზიციის სახეების და სხვა საშუალებების: იდიომატურ და</p>	<p><b>გერმანული ენის ისტორია</b> (სავალდებულო)</p> <p><b>გერმანული ენის ლექსიკოლოგია</b> (სავალდებულო)</p>
---	--



<p>ფრაზეოლოგიურ ერთეულთა წარმოქმნის პრინციპების ცოდნა; ენის ლექსიკური მარაგის დარგობრივი, რეგიონალური, სოციალური (სოციალურად სპეციფიური ლექსიკა) და სტილისტიკური მნიშვნელობის ცოდნა ლექსიკური მარაგის აღწერისას, რაც ენის ლექსიკური მარაგის სინქრონიულ ჭრილში აღწერისა და შემეცნების, მასზე მსჯელობისა და მისი გამოყენების საფუძველს უქმნის სტუდენტს</p> <p>ათვისებული ლექსიკური მარაგის მაქსიმალურად თავისუფლად გამოყენების უნარს სხვადასხვა თემატიკაზე ტექსტების (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული, სამეცნიერო) გაცნობა/ გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას; წერილობით ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში. გერმანულიდან ქართულზე და ქართულიდან გერმანულზე თარგმანის უნარების გამომუშავება.</p> <p>თანამედროვე გერმანული ენის ისეთი პრაქტიკული ცოდნის შეძენა, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას გერმანული ენის მატარებლებთან და მათ ადაპტაციას გერმანულენოვანი ქვეყნების კულტურულ გარემოში.</p> <p>სტილისტიკური მნიშვნელობის ცოდნა ლექსიკური მარაგის გამოყენებისას, სტილისტური დონეების და ენობრივ საშუალებათა შეფერილობების /კონოტაციების ცოდნა და გამოყენების უნარი.</p> <p>გერმანული ენის ფუნქციური სახეობების განსხვავება/გამოყენება გერმანულ ენაზე, არამხატვრული/პრაგმატიკული და ფიქციონალური ტექსტების სახეობების ანალიზის უნარი .</p> <p>ფუნქციონალური სტილებისა და შესაბამისად, დარგობრივი ტერმინოლოგიისა</p>	<p><b>გერმანული ენის სტილისტიკა</b> (არჩევითი)</p>
---	--

	და ცნებების ცოდნა; პრაგმატიკული ტექსტების სახეობებისა და ნაწილობრივ მხატვრული ტექსტების სტილისტური ანალიზის უნარ-ჩვევები და მეთოდოლოგიის საბაზისო ცოდნა.	
1.12	ტექტის კვლევის თეორიებისა და ანალიზის მეთოდების ცოდნა ლინგვისტური კვლევის მეთოდებისა და აქამდე დაგროვებული ლინგვისტური კომპეტენციების შეჯერების უნარი; ტექსტის ლინგვისტური ანალიზისა და ანალიზის შედეგად მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის ტექნიკების დაუფლებას, შესაბამისად მისი ზედაპირული და სიღრმული სტრუქტურების, ფუნქციური დატვირთულობის განსაზღვრის უნარი; ტექსტის კვლევის დაუფლება ინტერდისციპლინარულ (ანალიზის პროცესში მომიჯნავე ფილოლოგიური დისციპლინების მეთოდების თავმოყრის, ამ ასპექტში დაგროვებული ცოდნის მობილიზების) რაკურსში.	<b>შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში</b> (სავალდებულო)
1.13	თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე წარმოდგენა. მხატვრული თარგმანის სპეციფიკაზე წარმოდგენის შექმნა. გერმანულიდან ქართულად თარგმანის სპეციფიკაში გარკვევა; თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი შესატყვისობების მოძებნის უნარის განვითარება; ზეპირი და წერიტი თარგმანის ტექნიკის დაწყებითი უნარების განვითარება; სტუდენტი იძენს თარგმნის ტექნიკას შესაბამისი თეორიული წანამძღვრების საფუძველზე (თარგმანის თეორია და პრაქტიკა), როგორც ერთ-ერთ შემადგენელ კომპეტენციას ფილოლოგიური სასწავლო პროგრამის ფარგლებში.	<b>გერმანული ენიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა</b> (ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო);
1.14	<b>გერმანული ლიტერატურათმცოდნეობითი</b>	<b>მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის</b>

<p>დისციპლინების სწავლის შედეგად სტუდენტი იძენს ფართო დარგობრივ კომპეტენციას.</p> <p>გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის რაკურსში სტუდენტი ცოდნას იძენს ორი განსხვავებული ასპექტით:</p> <p>ერთი მხრივ ხდება სწავლების შედეგის ორიენტაცია <b>ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე</b>, ხოლო მეორე მხრივ, შემსწავლელი იძენს <b>მეთოდოლოგიურად სისტემატიზებულ ცოდნას; სტუდენტი კარგად იცნობს ცალკეული ლიტერატურული ეპოქის მახასიათებლებსა და პოეტიკას;</b></p> <p>სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ფორმატში სტუდენტი ეუფლება ასევე <b>ლიტერატურული ტექსტების ანალიზისა და ინტერპრეტაციის სხვადასხვა მეთოდის</b> გამოყენებისა და ანალიზის ტექნიკას;</p> <p>სტუდენტი ფლობს ცოდნას გერმანული ლიტერატურის ისტორიის საკვანძო საკითხების შესახებ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- <b>გერმანული მედიევისტიკის, შუა საუკუნეების გერმანული ლიტერატურისა და კულტურის შესახებ;</b> შესაბამისად, სტუდენტს ექმნება საბაზისო ცოდნა და უნარები ძველი ლიტერატურის ინტერპრეტაციაში;</li> <li>- <b>ბაროკოსა და განმანათლებლობის პერიოდის</b> ლიტერატურული პროცესების შესახებ არა მარტო გერმანული ლიტერატურის, არამედ ზოგადევროპული ლიტერატურისა და კულტურის კონტექსტში;</li> <li>- <b>“ქარიშხლისა და შეტევის” ასევე “გერმანული კლასიკის” პერიოდის</b> ლიტერატურის ძირითად ტენდენციებს, მათ ფილოსოფიურ და ესთეტიკურ წანამძღვრებს;</li> <li>- <b>რომანტიზმის როგორც ზოგადევროპული ლიტერატურული მოვლენის შესახებ;</b> ეცნობა გერმანული რომანტიზმის სპეციფიკასა და ცალკეულ სკოლებს, ამ მიმდინარეობის</li> </ul>	<p>კურსი (არჩევით);</p> <p>შესავალი გერმანულ მედიევისტიკაში (სავალდებულო);</p> <p>გერმანული ლიტერატურის ისტორია (ბაროკო და განმანათლებლობა) (სავალდებულო);</p> <p>გერმანული ლიტერატურის ისტორია (კლასიკა და რომანტიზმი)</p>
---	---

<p>ფილოსოფიურ საფუძვლებსა და საეტაპო ნაწარმოებებს;</p> <p><b>ახალი (1880-1945) და უახლესი გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორიის (1945-2000) ძირითად ტენდენციებსა და ამ ეპოქების ავტორთა შემოქმედებას, ზოგად ლიტერატურულ-ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით; საპროგრამო, ლიტერატურულ კანონს მიკუთვნებული ნაწარმოებების მხატვრულ სპეციფიკას; ჟანრობრივად განსხვავებული ტექსტების ანალიზსა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებსა და ტექნიკებს;</b></p>	<p>(სავალდებულო);</p> <p><b>ახალი გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორია (1880-1945) (არჩევითი);</b></p> <p><b>უახლესი გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორია (1945-2000) (არჩევითი);</b></p>
--	---

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**

<p><b>2.1</b></p>	<p>ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების გამოტანა და ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება.</p>	<p><b>ფილოსოფიის შესავალი (საფაკულტეტო სავალდებულო)</b></p>
<p><b>2.2</b></p>	<p>ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება /არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა.</p>	<p><b>აკადემიური წერა (საფაკულტეტო სავალდებულო)</b></p>
<p><b>2.3</b></p>	<p>საშუალო ან საშუალოზე მაღალი სირთულის ტექსტის წაკითხვა და შექმნა <b>ინგლისურ ენაზე</b>. ერთ–ერთი სხვა ევროპული ენის (არჩევის შემთხვევაში) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის.</p>	<p><b>ინგლისური ენა (საფაკულტეტო სავალდებულო);</b>  <b>რომელიმე სხვა ევროპული ენა (საფაკულტეტო ევროპული ენა; არჩევით);</b></p>
<p><b>2.4</b></p>	<p>ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენა (არჩევით) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის.</p>	<p>ერთ–ერთი <b>კლასიკური ან აღმოსავლური ენა (არჩევითი)</b></p>
<p><b>2.5</b></p>	<p>ჰუმანიტარული სფეროსთვის</p>	<p><b>საფაკულტეტო არჩევითი შესავალი</b></p>

	დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და ანალიზი.	<b>კურსი</b>
<b>2.6</b>	ძირითადი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად.	<b>ენათმეცნიერების შესავალი</b> (საფაკულტეტო სავალდებულო); <b>ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი</b> (საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი)
<b>2.7</b>	გერმანული ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები. გერმანულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ენის ეფექტურად გამოყენების უნარი; საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის, ნათლად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბების, არგუმენტირებისა და განმარტებების გარკვევით გადმოცემის უნარი; გერმანული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების, მათ შორის ეტიმოლოგიური ლექსიკონების, გამოყენების უნარი.	<b>გერმანული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6</b> (სავალდებულო); <b>აუდიო – ვიზუალური მედიების თეორია და პრაქტიკა</b> ( არჩევითი) <b>შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში</b> (სავალდებულო); <b>გერმანული ენის სტილისტიკა</b> (სავალდებულო); <b>გერმანული ენის ლექსიკოლოგია</b> (სავალდებულო)
<b>2.8</b>	სხვადასხვა ტიპის ტექსტების მათ შორის სამეცნიერო/ რეფერირების, კომენტარებისა და ანოტირების უნარი.	<b>გერმანული ენა 1,2, 3,4, 5, 6</b> (სავალდებულო); <b>გერმანულიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა</b> (სავალდებულო); <b>აკადემიური წერა</b> (საფაკულტეტო სავალდებულო) <b>ზოგადი ენათმეცნიერება/ლინგვისტური კომპარატივისტიკა</b> (ფილოლოგიის კომპეტენციისათვის სავალდებულო) <b>გერმანული ენის გრამატიკის საფუძვლები</b> ( სავალდებულო); <b>გერმანული ენის ისტორია</b>

		<p>(სავალდებულო);  <b>გერმანული ენის ლექსიკოლოგია</b>  (სავალდებულო)  <b>შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში</b>  (სავალდებულო)  <b>გერმანული ენის სტილისტიკა</b>  (არჩევითი);  <b>მედიევსტიკის შესავალი</b>  (სავალდებულო)</p>
<b>2.9</b>	<p>გერმანული ენის ფუნქციონალური პრაგმატიკული) სტილების ცოდნა: საქმიანი, სამეცნიერო, ყოველდღიური კომუნიკაციის, პრესისა და პუბლიცისტიკის .</p>	<p><b>გერმანული ენის სტილისტიკა</b>  (არჩევითი)</p>
<b>2.10</b>	<p>პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. კონკრეტული, ვიწროდარგობლივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის მონაცემების გათვალისწინებით.  ლინგვისტური და ლიტერატურული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი ისტორიულ კონტექსტში.</p>	<p><b>გერმანული ფილოლოგიის შესავალი</b>  (საფაკულტეტო არჩევითი შესავლის კურსი);  <b>გერმანული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6</b>  (ძირითადი);  <b>ენათმეცნიერების შესავალი</b>  (სავალდებულო საფაკულტეტო);  <b>ზოგადი ენათმეცნიერება/ლინგვისტური კომპარატიტიკა</b> (ფილოლოგიის კომპეტენციისათვის სავალდებულო)    <b>გერმანული ენის გრამატიკის საფუძვლები</b> ( სავალდებულო);  <b>გერმანული ენის ისტორია</b>  (სავალდებულო);  <b>გერმანული ენის ლექსიკოლოგია</b>  (სავალდებულო);  <b>შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში</b>  (სავალდებულო);  <b>გერმანული ენის სტილისტიკა</b>  (არჩევითი);  <b>მედიევსტიკის შესავალი</b>  (სავალდებულო);</p>

		<p><b>ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი</b> (საფაკულტეტო არცევითი შესავლის კურსი);</p> <p><b>ლიტერატურის თეორია</b> (ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი);</p> <p><b>მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კურსი</b> (არჩევით)</p> <p><b>გერმანული ლიტერატურის ისტორია</b> (ბაროკო და განმანათლებლობა) (სავალდებულო);</p> <p><b>გერმანული ლიტერატურის ისტორია</b> (კლასიკა და რომანტიზმი) (სავალდებულო);</p> <p><b>ახალი გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორია (1880-1945)</b> (არჩევითი);</p> <p><b>უახლესი გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორია (1945-2000)</b> (არჩევითი);</p> <p>და სხვა არჩევითი დისციპლინები</p>
--	--	--

- **დასკვნის უნარი:**

გერმანული ფილოლოგიის სფეროში ანალიტიკური უნარის გამომუშავება. არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება მიღებული მეთოდების გამოყენებით. პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის, მოვლენების შედარების, განსხვავებებისა და ზოგადი მახასიათებლების დადგენის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, მოცემულ სიტუაციაში ადაპტირებისა და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი.

- **კომუნიკაციის უნარი:**

მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის და სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით.  
ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები.

დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა.

გერმანულ ენაზე პროფესიულ წრეებში ვერბალური და წერიტი კომუნიკაციის კულტურა; საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში სპეციალობის ენის (გერმანულის) საკომუნიკაციო ფუნქციით ეფექტურად და მოქნილად გამოყენების უნარი, მათ შორის გერმანული ენის მატარებლებთან, მაგალითად, საქართველოში ჩატარებულ გერმანიის დღეებში, ასევე გერმანიაში ჩატარებულ საზაფხულო უნივერსიტეტებში(იენა, ბამბერგი, ზაარლანდი) წარმატებით მონაწილეობის – გერმანელი მეცნიერების ლექციებსა და სემინარებში, დისკუსიებში ჩართვის, ტექსტით მანიპულირების უნარ მას აქვს ასევე უნარი აწარმოოს ინტერაქცია არასპეციალისტებთან ქართულსა და გერმანულ ენებზე მათ შორის ბაზრის სხვადასხვა სეგმენტიდან.

- **სწავლის უნარი:**

სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. საკუთარ თავზე მუშაობის და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი, რასაც გარკვეულწილად ხელს უწყობს ახალი მედიალური ფორმების, ტექნიკური საშუალებების თვალსაჩინოების მიზნით გამოყენება. დამოუკიდებლად სწავლის უნარს საბაკალავრო დონეზე ეფუძნება მობილობის განხორციელება რაც ვლინდება გერმანიაში ბაკალავრების სემესტრული სწავლის პროცესში. ეს ერთ/ერთი ფაქტორთაგანია, რაც ხელს უწყობს (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელებას ან /და მის ადაპტაციას ბაზრის გარემოსთან.

- **ღირებულებები:**

კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა.

სოციალური და ეთიკური, მორალური პასუხისმგებლობის გამომუშავება; პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვა; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკა.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**

სწავლის შედეგების მისაღწევად *გერმანული ფილოლოგიის* საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე



მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერიტი დავალებები და სხვ.).

**დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას. დისკუსიის მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს.

**ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

**როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად.

**დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი :**

- **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

- **სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

**ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: სხვადასხვა ტიპის ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

**გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოიყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

საბაზისო დარგობრივი ცოდნის შემენისას **გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას. ამგვარი სტრატეგიისა და დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ **გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის გერმანული ენით მარკირებული პროგრამაა, რომლის ბევრი თეორიული სალექციო და პრაქტიკული კურსი გერმანულ ენაზე და გერმანულენოვან ტექსტზე ორიენტირებულ სწავლებაზეა დაფუძნებული. ვინაიდან დასაქმების ნებისმიერ სფეროში კურსდამთავრებულს შეხება ექნება ზეპირ თუ

წერილობით ტექსტებთან, ზემოაღნიშნული უნარების შეძენა კურსდამთავრებულს გაუიოლებს ინტეგრაციას საზოგადოებაში.

**გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას უზრუნველყოფს:

- სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების მოცულობის შესაბამისობა სტუდენტის რეალურ დატვირთვასთან; სემესტულად გამოცხადებული საპროგრამო სასწავლო კურსების კვირეული სააუდიტორიო-საკონტაქტო საათების ჯამის მაქსიმალურად მიახლოება სტუდენტის დატვირთვის კვირეულ ბადესთან.
- სავალდებულო და არჩევითი საგნების ზომიერი თანაფარდობა, რაც, ერთი მხრივ, განაპირობებს პროგრამის ძირითადი მიზნების განხორციელებასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო, მეორე მხრივ, სტუდენტს უტოვებს არჩევანის შესაძლებლობას;
- სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება;
- სასპეციალიზაციო სალექციო კურსების დიდი ნაწილის, სემინარებისა და პრაქტიკუმების წარმართვა სტუდენტთა მცირერიცხოვან ჯგუფებში, რაც სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის მეტ საშუალებას იძლევა;
- ძირითადი სასწავლო კურსების უზრუნველყოფა უახლესი ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით და სხვ.

### **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.

დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა არა უმეტეს 40 ქულა. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთან უკუკავშირს, მათ დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასების და ფინალური გამოცდის შედეგების შესახებ, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში, უკეთ გაიაზროს თავიანთი შეცდომები, სუსტი მხარეები და იზრუნონ თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე.

### **დასაქმების სფეროები:**

სასწავლო მიზნები და კომპეტენციები განსაზღვრულია სამუშაო ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. მიღებული დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარით და ზოგად ტრანსფერული უნარებით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული **ფილოლოგიის ბაკალავრი** მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი გერმანული ფილოლოგიის დარგში სათარჯიმნო, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სამუზეუმო, სარედაქტორო, სარეფერენტო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. შრომით ბაზარზე ის შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, ტურისტულ ფორმებში, სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტათვის;

### **საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა (იხ. დანართი) :**

საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია სავალდებულო საფაკულტეტო, საფაკულტეტო არჩევითი, საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები, ფილოლოგიის კომპეტენციისათვის სავალდებულო, სპეციალობის სავალდებულო დისციპლინები და სპეციალობის არჩევითი საგნები. ამის გარდა თავისუფალი კრედიტისა და არჩევითი საგნების საკრედიტო სისტემის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასურველი საგნები ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი აკადემიური პროგრამებიდან.

### **საბაკალავრო ნაშრომი:**

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სასწავლო პროგრამის VIII სემესტრი სასწავლო საკრედიტო სისტემა ნაწილობრივ ივსება კვლევით კომპონენტით. სტუდენტები მუშაობენ საბაკალავრო ნაშრომზე.

### **პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე (იხ. Curriculum Vitae)**

### **დამატებითი ინფორმაცია:**

**ძირითადი სპეციალობის არჩევის ვადა:** გერმანული ფილოლოგიის როგორც ძირითადი სპეციალობის არჩევის ვადად დადგენილია ბაკალავრიატის (უმაღლესი განათლების სწავლების პირველი საფეხურის) მეორე სემესტრი. პირველ სემესტრში სტუდენტი ირჩევს ძირითადი სპეციალობის განმსაზღვრელ კურსს: შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში (სტუდენტებს, რომლებსაც

სპეციალობად გერმანული ფილოლოგიის არჩევა სურთ, აუცილებლად უნდა აირჩიონ საფაკულტეტო შესავლების კურსიდან - შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში, ვინაიდან აღნიშნული კურსი თავისი შინაარსითა და მიღებული ცოდნის შედეგებით უაღრესად მნიშვნელოვანია ძირითადი სპეციალობის კურსების გასავლელად).

მეორე სემესტრიდან იწყება გერმანული ენის საფეხურებრივი სწავლება/სწავლა, ხოლო მესამე სემესტრიდან იწყება გერმანული ფილოლოგიის (თეორიული) საკომპეტენციო დისციპლინების შესწავლა.

### **რეკომენდებული დამატებითი საბაკალავრო პროგრამები:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს **დამატებითი სპეციალობის არჩევისას** რეკომენდაცია ეძლევა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში ყურადღება შეაჩეროს პედაგოგიკის და კულტურის მეცნიერებათა, ისტორიის, ქართული ფილოლოგიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის დამატებით პროგრამებზე; ასევე სასურველია ხელოვნებათმცოდნეობის, სოციალ-პოლიტიკური პროფილის დამატებითი პროგრამების, ეკონომიკის ფაკულტეტიდან კი ტურიზმის დამატებითი პროგრამის აღება. ამ დამატებითი პროგრამების კომბინირება გერმანული ფილოლოგიის ძირითად პროგრამასთან უფართოებს სტუდენტს ცოდნის არეალს და აძლევს კურსდამთავრებულს შრომით ბაზარზე დასაქმების მეტ შანსს. კერძოდ:

- ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში **გერმანული ენის მასწავლებელი დამწყებ კლასებში** (მე/6 კლასის ჩათვლით) (მინორ-პროგრამის განათლების მეცნიერებათა მიმართულებაზე სწავლის დასრულებისა და მასწავლებელთა დამატებითი საკვალიფიკაციო კურსის გავლის შემდეგ)
- სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში, ადგილობრივი და რეგიონული ადმინისტრაციაში – **მდივანი-რეფერენტი**, (minor-პროგრამა-პოლიტმეცნიერებები/კულტურის მეცნიერებები/სოციოლოგია, სოციალური მუშაკი);
- ადამიანური რესურსების მენეჯმენტი – **მდივანი-რეფერენტი** (minor-პროგრამა-სოციოლოგია);
- რადიოსა და ტელევიზიაში – **მოდერატორი** ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში **კორექტორი** და **კორესპონდენტი** (minor-პროგრამა-ჟურნალისტიკა);
- საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსში **მდივანი-რეფერენტი** (minor-პროგრამა-პოლიტმეცნიერებები/კულტურის მეცნიერებები);
- მუზეუმებსა და ტურისტულ ბიუროებში – **გამყოლი/მეზური, თარჯიმან/რეფერენტი** (minor-პროგრამა: ხელოვნებათმცოდნეობა/სამუზეუმო საქმე/ტურიზმი/სოციალური გეოგრაფია);
- ადმინისტრირების სფეროში – **მდივანი-რეფერენტი, ადმინისტრატორი** (minor-პროგრამა: ბიზნესადმინისტრირება) სხვადასხვა დაწესებულებებში;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, არქივები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები და ა.შ. – **მდივანი-რეფერენტი, თარჯიმან/რეფერენტი** (minor-პროგრამა-კულტურის მეცნიერებები/ხელოვნებათმცოდნეობა/სამუზეუმო საქმე/ისტორია)
- გამომცემლობებში – **კორექტორი, ტექნიკური რედაქტორი** (minor-პროგრამა –ქართული ფილოლოგია)

**სწავლის გაგრძელების საშუალება:**

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ცოდნის გაღრმავებისა და შემდგომი სამეცნიერო საქმიანობის პერსპექტივის გათვალისწინებით სწავლის გაგრძელება სამაგისტრო პროგრამის “გერმანული ფილოლოგია” სასურველ მოდულში: გერმანული ენათმეცნიერება ან გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა, ასევე რომელიმე გერმანულენოვან უნივერსიტეტში ანალოგიური ან მის მიერ შერჩეული მსგავსი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.

საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ 48 მუხლის პ.4ბ. შესაბამისად სტუდენტისადმი მინიჭებული უფლების საფუძველზე კურსდამთავრებულს შეუძლია უმაღლესი განათლების სწავლების მეორე საფეხურზე შეიცვალოს სპეციალობა, მას საშუალება ეძლევა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დამატებით (minor) სპეციალობაზე მაგალითად, განათლების მიმართულებაში მიღებული კომპეტენციების საფუძველზე, სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში განათლების პროფილით.

ზემოხსენებული საკანონმდებლო ჩარჩოები კურსდამთავრებულს უფლებას ანიჭებს აგრეთვე სწავლა განაგრძოს (სპეციალობა შეიცვალოს) სწავლების პირველ საფეხურზე შერჩეული ნებისმიერი დამატებითი (minor) პროგრამის შესაბამისად ან სრულიად სხვა სმაგისტრო (მეორე საფეხურის) პროგრამის ფარგლებში, თუ შერჩეული სამაგისტრო პროგრამა არ მოითხოვს რაიმე მკაცრი წინაპირობას.

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის 2 სრული პროფესორი, 5 ასოცირებული, 2 ასისტენტ პროფესორი და ენების ცენტრის მასწავლებლები (6), 2 მოწვეული პროფესორი, 3 მოწვეული დოქტორი და 1 უცხოელი ლექტორი მუდმივად, ჩვეულებრივ გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ბიუროს უფროსი.

**BA სასწავლო კომპონენტის შემსრულებელი პროფესორები:**

- პროფ. ლალი ქეცბა–ხუნდაძე, პროფ. დალი ფანჯიკიძე
- ასოც. პროფ. ნანა გოგოლაშვილი, ასოც. პროფ. ნინო ქიმერიძე, ასოც. პროფ. მარინა ანდრაზაშვილი,
- ასოც. პროფ. ნუნუ კაპანაძე, ასოც.პროფ. ალექსანდრე თვარაძე
- ასისტ.პროფ. სოფიო მუჯირი, ასისტ პროფ.კონსტანტინე ბრეგაძე
- მოწვ. პროფ. ლევან ცაგარელი, მოწვ. დოქტ.როდამ ფაღავა
- მოწვეული უცხოელი პროფესორი: დოქტ. ელიზაბეტ ვენორი

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:**

გერმანული ფილოლოგიის მიმართულებაზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკმაყოფილებს სასწავლო პროცესისთვის აუცილებელ მინიმალურ მოთხოვნებს.

სამი კომპიუტერი, ორი პრინტერი, სამი ქსეროქსი, ბიმერი და სხვა ტექნიკური საშუალებები,, გერმანისტული ბიბლიოთეკის მდიდარი წიგნადი ფონდი თანამედროვე სამეცნიერო და

ორიგინალური ლიტერატურით, რომლის განახლება პერიოდულად ხდება გერმანიის შესაბამისი ინსტიტუტების დახმარებით და სხვა საშუალებებით.

საბაკალავრო თემებზე მუშაობის დროს სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ საჯარო, ჰუმბოლდტის, გოეთეს ინსტიტუტისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის თბილისის ბიუროს საბიბლიოთეკო, ისევე როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელთა პირადი წიგნადი ფონდები.

### **პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის *გერმანული ფილოლოგიის* საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს *გერმანული ფილოლოგიის* საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ-მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

გარდა ამისა, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური უზრუნველყოფს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ყველა საფეხურის და მათ შორის *გერმანული ფილოლოგიის* საბაკალავრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებას (დეტალურად იხ. 4.2 პუნქტი); ამავე ფონდის დახმარებით და ფინანსური მხარდაჭერით 2006 წლიდან გერმანულ ენაზე სხვადასხვა სასემინარო და სალექციო კურსის წასაკითხად რეგულარულად, ყოველ სასწავლო წელს მოწვეულია გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ოფისის ხელმძღვანელი, ექსპერტი გერმანისტიკაში, რომელიც დარგობრივი და ენობრივი კომპეტენციების ამაღლებაში ეხმარება ქართველ სტუდენტებს; ამავე ფონდის ორგანიზებით და სრული დაფინანსებით ეწყობა ყოველწლიური რეგულარული მოკლევადიანი ენობრივი სტაჟირებები სტუდენტთათვის და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები აკადემიური პერსონალისთვის დიუსელდორფის, ზაარლანდის, იენისა და ბამბერგის უნივერსიტეტებში.

გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის მიერ ყოველწლიურად თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტთათვის (ისევე როგორც სხვა მიმართულებებისთვის) საკონკურსო პირობით გამოიყოფა სემესტრული და მოკლევადიანი – ერთთვიანი სტიპენდიები სასწავლებლად ზაარლანდისა და იენის უნივერსიტეტებში. ხოლო დიუსელდორფის უნივერსიტეტის გერმანისტიკის კათედრებთან ინსტიტუტთაშორისი პარტნიორობის ფარგლებში გერმანისტიკის დარგში გამოიყოფა სტიპენდიები

გერმანული ფილოლოგიის სამივე საფეხურის პროგრამებისთვის სრული დაფინანსებით (გზა, სწავლა, საცხოვრებელი) მთელი სემესტრით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტისთვის (დეტალური ინფორმაცია იხ. 3.4 პუნქტში). გერმანიის აკადემიური სამსახურის დაფინანსებით პარტნიორობა გერმანიისტიკის დარგში უზრუნველყოფს აგრეთვე სასწავლო პროცესისთვის საჭირო უახლესი ორიგინალური და სამეცნიერო ლიტერატურით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების წიგნადი ფონდის გამდიდრება ხდება სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ინსტიტუტებთან პროფესორის აკადემიური კონტაქტების საფუძველზე (დეტალური ინფორმაცია იხ. 4.1 პუნქტში).

### აკადემიური კონტაქტები:

2008 წლიდან ხორციელდება საუნივერსიტეტო სწავლების სამივე დონეზე (BA, MA, PhD) ჰაინრიხ ჰაინეს დიუსელდორფის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის გერმანიისტიკის DAAD-ის ინსტიტუტთან თანამშრომლობა (GIP) გერმანიისტიკის დარგში კათედრებთან შემდეგ სპეციალობებში:

- გერმანული ენათმეცნიერება (გერმანიისტიკა I - პროფ. დოქტ. დიტრიჰ ბუსე)
- გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა (გერმანიისტიკა II – პროფ. დოქტ. სიბილე შენბორნი)
- მედიევსტიკა (გერმანიისტიკა III - პროფ. დოქტ. ჰელმუტ ბრალ-ტუხელი)

პარტნიორობის წამყვანი პროფესორები: ჰაინრიხ ჰაინეს დიუსელდორფის უნივერსიტეტის პროფ. დოქტ. სიბილე შენბორნი, თსუ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე

### სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა საუნივერსიტეტო სწავლების BA, MA, PhD დონეებზე:

სემესტრული სტიპენდიები ბაკალავრებისთვის დიუსელდორფის უნივერსიტეტში სასწავლებლად თსუ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის 1 ან 2 წამატებული სტუდენტისთვის (წელიწადში ერთხელ)

DAAD- ის დაფინანსებით საუნივერსიტეტო პარტნიორობის ფარგლებში გერმანული ფილოლოგიის პროგრამის საბაკალავრო დონის სტუდენტებისთვის – სემესტრული და/ან ერთთვიანი ზაფხულის სტიპენდიები საერთაშორისო კურსებზე ზაარლანდის, იენისა და ბამბერგის უნივერსიტეტებში.

დიუსელდორფელი პროფესორების მიერ ყოველი წლის შემოდგომის სემესტრში თსუ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტში ტარდება ლექციები, სემინარები, ვორკ-შოპები და კონსულტაციები.



DAAD-ის მიერ დაფინანსებული ინსტიტუტთაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში დიუსელდორფის უნივერსიტეტის კათედრებთან გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციები.

**პარტნიორობის წამყვანი პროფესორები:** ჰაინრიხ ჰაინეს დიუსელდორფის უნივერსიტეტის პროფ. დოქტ. სიბილე შენბორნი, თსუ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე

**სემესტრული სტიპენდია** დიუსელდორფის უნივერსიტეტში სასწავლებლად თსუ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის 1 ან 2 წარმატებული სტუდენტისთვის (წელიწადში ერთხელ)

**საუნივერსიტეტო პარტნიორობის ფარგლებში DAAD-ის დაფინანსებით გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო** პროგრამების სტუდენტებისთვის (კონკურსანტთა რიცხვი შეზღუდული არ არის) შესაძლებელია ერთთვიანი ზაფხულის სტიპენდიები საერთაშორისო კურსებზე **ზაარლანდის, იენისა და ბამბერგის** უნივერსიტეტებში (აგრეთვე დამატებითი პროგრამის სტუდენტებისთვის).

სტიპენდიანტებს შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციები.

წელიწადში ერთხელ გაზაფხულის სემესტრში თსუ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტში ტარდება ლექციები, სემინარები, ვორკ-შოპები და კონსულტაციები დიუსელდორფის, ზაარლანდის, ბამბერგის და იენის უნივერსიტეტის პროფესორების მიერ როგორც გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის მაგისტრებისა და დოქტორანტებისთვის, ასევე დაინტერესებული ბაკალავრებისთვის.

2010 წლიდან გერმანიიდან ჩამოსული სპეციალისტი ერთი სემესტრის განმავლობაში ატარებს სპეციალურ რეპეტიტორიუმს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის, რომელთაც სურთ გაიუმჯობესონ ენობრივი კომპეტენციები.

ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტებს, რომლებიც აირჩევენ გერმანულ ენას როგორც მეორე უცხო ენას სათანადო ტესტური გრადაციის შემდეგ ასევე ეძლევათ შესაძლებლობა მოიპოვონ გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის სტიპენდია და ისწავლონ გერმანიის უნივერსიტეტებში ანგლისტიკა.

**პროგრამის „გერმანული ფილოლოგია“ ანალოგი:**

**პროგრამა** შედგენილია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ავსტრიისა და შვეიცარიის საუნივერსიტეტო საბაკალავრო პროგრამებისა და ზემოხსენებული ქვეყნების ხარისხის

უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის სამსახურის (გერმანია: <http://www.akkreditierungsrat.de/>, ავსტრია: <http://www.akkreditierungsrat.at/cont/de/index.aspx>, შვეიცარია: [http://www.oaq.ch/pub/de/01\\_00\\_00\\_home.php](http://www.oaq.ch/pub/de/01_00_00_home.php)), უმაღლესი განათლების კომპასის (<http://www.higher-education-compass.de/> - უმაღლესი სკოლის რექტორთა კონფერენცია), კულტურის მინისტრთა კონფერენციის (<http://www.kmk.org/index00.htm>), გერმანიის უმაღლეს სასწავლებელთა რანჟირების (<http://ranking.zeit.de/che9/CHE?module=Fachbereich&do=show&id=30274>) ანალიტიკური მონაცემებისა და სარეკომენდაციო მასალების მიხედვით.

ინფორმაციის მიზნით გავეცანით აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის: პრადის, სოფიის, ვარშავის უნივერსიტეტების გერმანისტიკის ფაკულტეტების ვებგვერდებს. მათი მკვეთრი ორიენტაციის გამო გერმანულენოვანი უნივერსიტეტების პროგრამებზე ჩვენ ვამჯობინეთ:

1. არჩევანი შეგვეჩერებინა ძირითადად გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის საბაკალავრო პროგრამებზე.
2. დაგვედგინა პრიორიტეტული დისციპლინები ჩვენი მიზნების შესაბამისად.

ჰაინრიხ ჰაინეს დიუსელდორფის უნივერსიტეტი გერმანისტიკის ინსტიტუტი:

31.01.2006

<http://www.phil-fak.uni-duesseldorf.de/germl/materialien/bachelor-germanistik-studienordnung.pdf>

ბრემენის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტი:

28.10.2006 <http://www.uni-bremen.de/veranstaltungen/veranstaltungsangabe?pi-sg-id=285>

**დრეზდენის** ტექნიკური უნივერსიტეტის გერმანისტიკის/ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი:

29.08.2006(<http://rcswww.urz.tu-dresden.de/>)

**ზაარლანდის** უნივერსიტეტის გერმანისტიკის კათედრა:

28.08.2006 <http://www.uni-saarland.de/fak.4/fr41/sandig/pruefungsvoraussetzung.htm>

[http://www.uni-saarland.de/studium/bologna/bama/index\\_html?basetyp=druckvers...](http://www.uni-saarland.de/studium/bologna/bama/index_html?basetyp=druckvers...)

**თიუბინგენის** ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტი:

გერმანული სემინარი

<http://www.uni-tuebingen.de/Deutsches-Seminar/abteilungen/index.html>

ძველი გერმანული ენა და ლიტერატურათმცოდნეობა/მედიევისტიკა

<http://www.uni-tuebingen.de/mediaevistik/>

ახალი გერმანული ლიტერატურა

<http://www.uni-tuebingen.de/Deutsches-Seminar/abteilungen/ndl.html>

უახლესი გერმანული ლიტერატურის ვებგვერდები:

[www.uni-](http://www.uni-erfurt.de/kommunikationswissenschaft/lehrveranstaltungen/Lehrveranstaltungen%2055%2020001/Theorien_Methoden%20II.htm)

[erfurt.de/kommunikationswissenschaft/lehrveranstaltungen/Lehrveranstaltungen%2055%2020001/Theorien\\_Methoden%20II.htm](http://www.uni-erfurt.de/kommunikationswissenschaft/lehrveranstaltungen/Lehrveranstaltungen%2055%2020001/Theorien_Methoden%20II.htm)

[www.littvet.su.se/littlist/Pkteorimetod.html](http://www.littvet.su.se/littlist/Pkteorimetod.html)

[www.littvet.su.se/fdj litt.html](http://www.littvet.su.se/fdj litt.html)

[www.uni-duisburg-essen.de/fet/fue/germ/fb01\\_02\\_15.thm](http://www.uni-duisburg-essen.de/fet/fue/germ/fb01_02_15.thm)

**იენის** ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტი:

[http://www.supreme.coling.uni-jene.de/ig-wiki/index.php/Prof.\\_Dr.\\_Schwarz-Friesel](http://www.supreme.coling.uni-jene.de/ig-wiki/index.php/Prof._Dr._Schwarz-Friesel)

*კიოლნის* უნივერსიტეტი:

28.10.2006 (<http://uk-online.uni-koeln.de/cgi-bin/show.pl>)

*ჰამბურგის* უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტი:

ძველი გერმანული ენა და ლიტერატურა

<http://www.sign-lang.uni-hamburg.de/fb07/GermS/welcome.html>

ახალი გერმანული ლიტერატურა

<http://www.sign-lang.uni-hamburg.de/fb07/LitS/LitSWelcome.html>

*ზალცბურგის* უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტი:

30.08.2006 (<http://www.sbg.ac.at/ger/inhalt/studplanbakkmag.htm>)

*ბაზელის* უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტი:

28.08.2006 (<http://www.germa.unibas.ch/linguistik/hefer>)

## დამატებითი პროგრამა

დამატებითი პროგრამის დასახელება : გერმანული ფილოლოგია /*German Philology*

პროგრამის ხანგრძლივობა: 60 ECTS კრედიტი

### პროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დამატებითი პროგრამა **გერმანული ფილოლოგიაში** მიზნად ისახავს ნაწილობრივ სავალდებულო დარგობრივი (ზოგადფილოლოგიური) კომპეტენციების დაუფლებას ძირითადი საბაკალავრო პროგრამიდან “გერმანული ფილოლოგია”; ის უქმნის სტუდენტს დარგის ზოგად საფუძვლებს და სძენს ნაწილობრივ როგორც დარგის მეთოდოლოგიურ კომპეტენციებს ასევე პრაქტიკულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რაც ძირითად (მაპროფილებელ) სპეციალობასთან კომბინაციაში, უზრუნველყოფს სტუდენტის შანსების გაზრდას შრომით ბაზარზე წარმატებით დასასაქმებლად.

პირველ რიგში მიზნად ისახავს პრაქტიკული *ენობრივი კომპეტენციების* და დარგის ფარგლებში არსებითი უნარ-ჩვევების შეძენას. იგი უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის ე.წ. “საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს” პარამეტრებს, რაც გულისხმობს ენობრივი კომპეტენციის ზრდას A<sup>1</sup> -დან B1-B<sup>2</sup> დონემდე დამატებითი პროგრამის ფარგლებში; უცხო ენის ფლობის პრაქტიკული უნარ-ჩვევებს კი სტუდენტი იაქტიურებს ენობრივი ქმედების ოთხი კომპეტენციის შესაბამისად: ზეპირი მეტყველება, წერა, აუდირება და კითხვა. შესაბამისად, ენის პრაქტიკული კურსი აღრმავებს ინტერკულტურული ცოდნის კომპეტენციებს.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** დამატებით პროგრამაზე სასწავლებლად სტუდენტმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ტესტირებაში (გრადაციის ტესტი). რომლის შედეგად სტუდენტის ენობრივი კომპეტენცია უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებულ *საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს* პარამეტრებს, კერძოდ A<sup>1</sup>/A<sup>2</sup> დონეს.

### სწავლის შედეგები:

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

ფილოლოგიის როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; გერმანისტიკის წარმოშობის ფილოლოგიური წანამდევრების, გერმანული ლინგვისტური აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიის განვითარების ტენდენციებისა და ეტაპების ცოდნა. გერმანული ენათმეცნიერების, გერმანული	გერმანული ფილოლოგიის შესავალი (საფაკულტეტო არჩევითი);
---	---

<p>ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის ძირითადი ცნებების ცოდნა, ტექსტის კვლევის აუცილებელი, საბაზისო ინსტრუმენტარიუმის ფლობა.</p>	
<p>სპეციალობის მაპროფილებელ გერმანულ ენაში ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი დოკუმენტის “The Common European Framework in its political and educational context” მიხედვით B 1 -B2 დონის შესაბამისი ცოდნის ფლობა (დამოუკიდებელი მოსაუბრე დარგობრივ სფეროში), რაც გულისხმობს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) ამ დონის შესაბამისად; ცალკეული ენობრივი ასპექტების დაუფლებას (ლექსიკა, გრამატიკა, წერა, ზეპირი კომუნიკაცია);</p>	<p><b>გერმანული ენა 1, 2, 3, 4, 5</b> (სავალდებულო)</p>
<p>ტექსტის კვლევის თეორიებისა და ანალიზის მეთოდების ცოდნა ლინგვისტური კვლევის მეთოდებისა და აქამდე დაგროვებული ლინგვისტური კომპეტენციების შეჯერების უნარი; ტექსტის ლინგვისტური ანალიზისა და ანალიზის შედეგად მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის ტექნიკების დაუფლებას, შესაბამისად მისი ზედაპირული და სიღრმული სტრუქტურების, ფუნქციური დატვირთულობის განსაზღვრის უნარი;</p> <p>ტექსტის კვლევის დაუფლება ინტერდისციპლინარულ (ანალიზის პროცესში მომიჯნავე ფილოლოგიური დისციპლინების მეთოდების თავმოყრის, ამ ასპექტში დაგროვებული ცოდნის მობილიზების) რაკურსში.</p>	<p><b>შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში</b> (სავალდებულო)</p>

• **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**

<p>პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. კონკრეტული, ვიწროდარგობლივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის მონაცემების</p>	<p><b>გერმანული ფილოლოგიის შესავალი</b> (საფაკულტეტო არჩევითი);</p> <p><b>შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში</b> (სავალდებულო)</p>
--	--

გათვალისწინებით.	
გერმანული ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები. გერმანულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ენის ეფექტურად გამოყენების უნარი;	<b>გერმანული ენა 1, 2, 3, 4, 5</b>

- **დასკვნის უნარი:**

გერმანული ფილოლოგიის სფეროში არსებული საშუალო სირთულის პრობლემების იდენტიფიკაციის და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მათი გადაჭრის გზების მოძიების უნარი; ანალიზის შედეგად დასკვნის გაკეთების უნარი;

- **კომუნიკაციის უნარი**

ინფორმაციის კონცეპტუალური სახით ჩამოყალიბებისა და გადაცემის უნარი; სწავლისა და კვლევის პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების, ფილოლოგიურ მეცნიერებებში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარი. გერმანულ ენაზე პროფესიულ წრეებში ვერბალური და წერილი კომუნიკაციის კულტურა;

- **სწავლის უნარი:**

სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. საკუთარ თავზე მუშაობის და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი;

- **ღირებულებები:**

კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა.

სოციალური და ეთიკური, მორალური პასუხისმგებლობის გამომუშავება; პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვა; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკა.

### დამატებითი პროგრამის სტრუქტურა:

დამატებით საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი, სპეციალობის სავალდებულო დისციპლინები (40 კრედიტი) და სპეციალობის არჩევითი საგნები (20 კრედიტი).

### სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად **გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერიტი დავალებები და სხვ.). ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

საბაზისო დარგობრივი ცოდნის შეძენისას **გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას. ამგვარი სტრატეგიისა და დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ **გერმანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის გერმანული ენით მარკირებული პროგრამაა, რომლის ბევრი თეორიული სალექციო და პრაქტიკული კურსი გერმანულ ენაზე და გერმანულენოვან ტექსტზე ორიენტირებულ სწავლებაზეა დაფუძნებული. ვინაიდან დასაქმების ნებისმიერ სფეროში კურსდამთავრებულს შეეხება ექნება ზეპირ თუ

წერილობით ტექსტებთან, ზემოაღნიშნული უნარების შეძენა კურსდამთავრებულს გაუიოლებს ინტეგრაციას საზოგადოებაში.

### **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

**სასწავლო გეგმა:** იხ. დანართი № 1

**პროგრამის ხელმძღვანელი:** პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე (*იხ. Curriculum Vitae*)

### **დამატებითი ინფორმაცია :**

საბაკალავრო პროგრამაზე *გერმანული ფილოლოგია* სწავლის პროცესში სხვა პროგრამების სტუდენტები იძენენ დამატებით კვალიფიკაციებს, შესაბამისად მათ შესწევთ ინფორმაციის მოპოვების, მისი გადამუშავებისა, გარკვეულ დროის მონაკვეთში არა მხოლოდ ქართულ არამედ გერმანულ ენაზე ვერბალიზაციის (ზეპირად ან წერილობით ფორმაში) და შესაბამისად პრეზენტაციის უნარი.

აქედან გამომდინარე, დამატებითი სპეციალობის გერმანული ფილოლოგია კურსდამთავრებული იძენს სპეციფიკურ დამატებით დარგობრივ კომპეტენციებსა და ტრანსფერულ უნარებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მას დასაქმდეს სოციალურ-პოლიტიკურ, კულტურის, განათლების და სხვა ასევე სფეროებში, რომლებიც მეტნაკლებად დაკავშირებული არიან საქართველოში მოქმედ გერმანულენოვან ინსტიტუციებთან. გერმანული ფილოლოგიის დამატებითი პროგრამის გავლის შედეგად მათ ეძლევათ შესაძლებლობა მოემზადონ და მოიპოვონ უპირატესობა თანამედროვე ბაზრის დასაქმების შესაბამის სემინტებში.